

## ნახი ბურბუღალაჲ

ტერმინოლოგიურ გამოთქმათა ძირითადი სტრუქტურული მოდელეზი და ლექსიკონური მათი ასახვის თავისებურებები (ტერმინოლოგიის მასალის მიხედვით)

ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში აგებულების მიხედვით ძირითადად ტერმინთა სამი ჯგუფი გამოიყოფა:

ა) ერთსიტყვიანი ტერმინები, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი (მაღარო, ბეტონი, ბლოკი, ხარხნი...), ნაწარმოები (საყულური, შაყონებელი, სატვირთველი, საბარგული, სახარხნისი...) და რთული (ბიჭაზოში, ბეტონმანაწილებელი, ჩარხთხაშენი, ვიდეოჩანაწერი...);

ბ) ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინოლოგიური გამოთქმები, რომელთაც ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს უწოდებენ (ვარსკვლავური თვე, ერთშინდელიანი ჩარხი, დამცავი ნაგებობა, დაყოვნების ოპტიკური ხაზი, უწყვეტი გამოსხივების რადიოლოკატორი...;

გ) ტერმინები, რომელთაც სიტყვიერი გამოხატულებაც აქვთ, მაგრამ, ჩვეულებრივ, გადმოიციმინ სიმბოლოებით — სხვადასხვა გრაფიკული ნიშნებით, ფორმულებით, ციფრებით და ა. შ. (ა-ნაწილაკი, წ-სხივები, T-სებრი,  $H_2O$ ...)<sup>1</sup>.

ცალკე ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს აბრევიატურები, რომლებიც ამა თუ იმ ტერმინისა თუ ტერმინოლოგიური გამოთქმის შემოკლებულ დასახელებებს წარმოადგენს და დღითიდღე სულ უფრო და უფრო ინტენსიურად იკავებს გზას მეცნიერების ენაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებიდან ტერმინის ყველაზე მეტად გავრცელებული სტრუქტურული ტიპი ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინოლოგიური გამოთქმებია, რომლებიც სალიტერატურო ენის შესიტყვებათა ფუნქციურ სახესხვაობას წარმოადგენს.

<sup>1</sup> მავალითები ამოღებულია: ტექნიკისა (1982 წ.) და მასში შემავალი დარგების — ავტორანსპორტის (1950 წ.), რადიოელექტრონიკის (1981 წ.) ლექსიკონებიდან.

ტერმინოლოგიური შესიტყვებები საანალიზო მასალის მიხედვით რამდენიმე სახისა შეიძლება იყოს. ძირითადად ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) თავისუფალი შესიტყვებები, ე. ი. ისეთი შესიტყვებები, რომლებიც ადვილად შეიძლება დაიშალოს შემადგენელ ნაწილებად და სხვა სიტყვებთან კომბინაციაშიც შეგვხვდეს (შიდროდინა-მიკური გადაცემა, ამიაკიანი კვანტური გენერატორი, ხალტის გვერდული სიხისტის კოეფიციენტი).

ტერმინოლოგიის ძირითად ნაწილს სწორედ ამგვარი ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმები შეადგენს.

ბ) იდომატური შესიტყვებები, ე. ი. ისეთი გამოთქმები, რომლებიც ცალკეულ ნაწილებად არ დაიშლება (ცოყვის გალია „ცხაურას“ მნიშვნელობით, ბენგალური ცეცხლი, ვარდთა სქემა და სხვ.). ამგვარ შესიტყვებათა რიცხვი საკმაოდ შეზღუდულია.

ცნობილია, რომ ერთსიტყვიან ტერმინებად, ჩვეულებრივ, საგნის კატეგორიისა თუ პროცესის კატეგორიის აღმნიშვნელი არსებითი სახელები გვევლინება<sup>2</sup>. ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში არსებით სახელებთან ერთად განსაკუთრებული როლი ენიჭება ზედსართავებსა და მიმდებრებს, რომლებიც ძირითადად არსებითი სახელებია მსაზღვრელებად გვევლინება და ტერმინოლოგიურ სიტყვაში ამ ფუნქციით გამოიყენება.

ტერმინოლოგიურ სიტყვაში გამოყენებული მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შენდგარი ტერმინები, რომლებიც ხმარების დიდი სიხშირით ხასიათდება, აგებულების მიხედვით ნაირგვარია. სიტყვათა ბუნებრივი განლაგებისას მათი ძირითადი მოდელები ასეთია:

**ატრიბუტული მსაზღვრელი + საზღვრული:**

მაღალი წნევა

**მართული მსაზღვრელი + საზღვრული:**

მანქანის სიმძლავრე

<sup>2</sup> იშვიათად ცალკეულ ტერმინოლოგიურ ერთეულად შესაძლებელია სხვა მეტყველების ნაწილებიც შეგხვდეს: ზმნისართება, ზედსართავები (მაგ., მუსიკის ტერმინოლოგიაში: ადაქო, ფორტე, პიანო და ნისთ), არის შემთხვევები, როდესაც ტერმინის ფუნქციით შეიძლება იყოს გამოყენებული ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი მეტყველების ნაწილიც კი (მაგ., ზმნა). ეს პეტწილად სამხედრო, საზღვაო ან საბორტის ტერმინოლოგიაში გვხვდება, რომლებშიც კომანდები სწორედ ზმნის ფორმითა გამოხატული. მაგრამ ეს გამოწვევისად შეიძლება მივიჩნიოთ, ძირითადი დატვირთვა სიტყვისა ტერმინოლოგიური ფუნქციით მაინც არსებით სახელზე მოდის (იხ. რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1936, გვ. 74).

**ატრიბ. მსაზღვრელი + მართ. მსაზღვრელი + საზღვრული:**  
 სატელეგრაფო                      კავშირის                      ავტომატიზაცია  
**მართ. მსაზღვრელი + ატრიბ. მსაზღვრელი + საზღვრული:**  
 კონტინერის                      ტორსული                      კედელი  
**მართ. მსაზღვრელი + მართ. მსაზღვრელი + საზღვრული:**  
 უსაფრთხოების                      ღვედის                      დამაგრება  
**ატრიბ. მსაზღვრელი + ატრიბ. მსაზღვრელი + საზღვრული:**  
 შემრევი                      პირველადი                      კამერა

ზემოთ დასახელებული ტერმინოლოგიური გამოთქმები სტრუქტურულად ვრცელი და მოუქნელია, მაგრამ სხვა ტერმინებთან შედარებით მათ ერთგვარი სემანტიკური გამჭვირვალობა ახასიათებთ და შესაბამის ცნებებზე სწორად ნაორიენტირებელი არიან.

ნიუხედავად ასეთი უპირატესობისა, შესიტყვების ფორმის მქონე ეს ტერმინები გარკვეულ სირთულეებს ქმნის, რაც განსაკუთრებით ლექსიკოგრაფიულ საქმიანობაში იჩენს თავს; სახელდობრ, ლექსიკონში მათი შეტანის დროს დგება საკითხი ამგვარ გამოთქმებში (განსაკუთრებით — სამ- და მეტსიტყვიანებში) შემავალ სიტყვათა რივისა, რაც ზოგ შემთხვევაში ალვილი გადასაწყვეტი არ არის.

მსაზღვრელ-საზღვრულის საკითხი სალიტერატურო ქართულის მასალის მიხედვით გარკვეულია და საგანგებოდ დამუწავებულიც<sup>3</sup>.

საერთო ქართულისათვის მიღებულ ამ კანონზომიერებას ექვემდებარება ტერმინოლოგიური ნასალაც, როდესაც რამდენიმე არაერთგვაროვანი თუ ერთგვაროვანი მსაზღვრელის პრეპოზიციურ წყობას ენება საკითხი. შესიტყვებები ჯგუფდება შინაარსის მიხედვით და ამის შესაბამისად წყდება საკითხი შესიტყვებათა სიმყარისა თუ გათიშვისა. სხვა სურათია, როდესაც რამდენიმე მსაზღვრელიან შესიტყვებებში ინვერსიულ წყობასთან გვაქვს საქმე.

ცნობილია, რომ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს სალექსიკონო ერთეულთა მიწოდების თავისი წესი აქვს. ჩვეულებრივი თარგმნითა თუ განმარტებითი ლექსიკონებისაგან განსხვავებით, ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ძირითადად სალექსიკონო ერთეულად არსებითი სახელია გამოტანილი, ხოლო სხვა დანარჩენი სიტყვები ამ არსებითთან იყრის თავს. ამის გამოა, რომ ლექსიკონის რუსულ-ქართულ ნაწილში რუსული გამოთქმები ინვერსიული წყობითაა წარმოდგენილი, ხოლო ქართული — ბუნებრივი წყობით; ქართულ-რუსულ ნაწილში კი —

<sup>3</sup> იხ. ლ. ლევაია, მსაზღვრელია რივი არაერთგვარ მსაზღვრელებთან შესიტყვებაში: ქსკს, 1, 1972, გვ. 58—98.

პირიქით: ქართული ნაწილი მოცემულია ინვერსიულად, ხოლო რუსული — ბუნებრივი წყობით.

ქართულ სალექსიკონო ერთეულთა მიწოდების ეს წესი, ე. ი. ინვერსიული წყობა მსაზღვრელ-საზღვრელისა რამდენიმე მსაზღვრელის გამოყენების შემთხვევაში სპეციფიკურ ვითარებას ქმნის<sup>4</sup>.

იმისათვის, რომ ამ სპეციფიკის ზოგი მხარე წარმოვჩინოთ, განვიხილავთ რამდენიმე, ძირითადად ორმსაზღვრელიან შესიტყვებათა ნიმუშებს.

სტრუქტურულად ცნობილია სამ- და მეტსიტყვიან ტერმინოლოგიურ გამოთქმათა ინვერსიული წყობის რამდენიმე ტიპი.

**I. საზღვრული + ატრიბუტული მსაზღვრელი + მართული მსაზღვრელი:**

კვამლი	ნამუშევარი	აირებისა
მდგრადობა	პასიური	მდგომარეობისა
ავტომატიზაცია	სატელეგრაფო	კავშირისა

**II. საზღვრული + მართული მსაზღვრელი + მართული მსაზღვრელი:**

დამაგრება	უსაფრთხოების	ღვედისა
ბერკეტი	ხელის	მუხრუჭისა
კუთხე	თვლების	ნახარისა

ამრიგად, ყველა მავალითში — იმისდა მიხედვით, თუ როგორია მსაზღვრელი (ატრიბუტული თუ მართული) — პირველ ადგილზეა საზღვრული (კვამლი, მდგრადობა, ავტომატიზაცია, დამაგრება, ბერკეტი, კუთხე), მესამე ადგილზეა მისი უშუალო მსაზღვრელი, რომელიც მართავს საზღვრულს (აირებისა, მდგრადობისა, კავშირისა, ღვედისა, მუხრუჭისა, ნახარისა), ხოლო მეორე ადგილზეა მსაზღვრელის მსაზღვრელი. ამგვარად, მსაზღვრელის მსაზღვრელი ბუნებრივი წყობითაა წარმოდგენილი (ნამუშევარი აირებისა, პასიური მდგრადობისა, სატელეგრაფო კავშირისა, უსაფრთხოების ღვედისა, ხელის მუხრუჭისა, თვლების ნახარისა). აქ ინვერსია, ფაქტობრივად, სინტაგმის ორ წევრს (საზღვრულსა და მართულ მსაზღვრელს) შეეხება.

ეს ისეთი შემთხვევებია, როცა ორი მსაზღვრელიდან ერთი არსებითს განსაზღვრავს, ხოლო მეორე — მსაზღვრელს, ე. ი. საქმე გვაქვს მსაზღვრელის მსაზღვრელთან.

<sup>4</sup> კონკრეტული მასალის (კერძოდ, საქონლმეცოდნეობის ტერმინთა მიხედვით) ორ- და მრავალწევრა ტერმინოლოგიურ გამოთქმებში სიტყვათა რიგის საკითხი ინვერსიული წყობის დროს დასმულია რ. დამაზაშიძის სტატიაში: „საქონლმეცოდნეობის ტერმინოლოგია და ამ დარგის ტერმინთა ლექსიკოგრაფიული ფიქსირების ზოგი საკითხი“: იყე, XXXI, 1992, გვ. 170—185.

### III. საზღვრული + მართული მსაზღვრელი + ატრიბუტული მსაზღვრელი:

კანონი	განაწილებისა	ექსპონენციალური
გადაზრა	პარამეტრისა	გაზომილი
დაზრა	ტაბიკისა	განივი

ამ შემთხვევაშიც არსებითი გამოხატულ საზღვრულს ახლავს ორი მსაზღვრელი — ატრიბუტული და მართული. სხვა სურათითა, როდესაც ორი მსაზღვრელიდან ერთი საზღვრულს უკავშირდება, ხოლო მეორე — მთლიან ორსიტყვიან გამოთქმას, ანუ მსაზღვრელ-საზღვრულს.

დასახელებულ მაგალითებში (ნიმუშისათვის ავიღოთ პირველი მათგანი: განაწილების ექსპონენციალური კანონი) ძირითადი ცნების ამსახველია გამოთქმა — განაწილების კანონი, ხოლო ექსპონენციალური ამ განაწილების კანონის კერძო სახეა და იგი ერთდროულად სინტაგმის ორივე წევრთანაა დაკავშირებული. ამიტომაც მისი მართებული შებრუნებული წყობა იქნება: კანონი განაწილებისა ექსპონენციალური.

### IV. საზღვრული + ატრიბუტ. მსაზღვრელი + ატრიბუტ. მსაზღვრელი

ინსპექცია	საავტომობილო	სამხედრო
დანადგარი	სარეცხი	ჭავჭავი
ბაზა	ორმაგი	საყრდენი
გადაცემა	მთავარი	ორმაგი

კიდევ შეტ დაფიქრებას მოითხოვს სიტყვათა რიგი იმ ტიპის კონსტრუქციებში, რომლებშიც ორივე ატრიბუტული მსაზღვრელი (საავტომობილო, სამხედრო). მათგან ერთი უშუალოდ საზღვრულს უკავშირდება (საავტომობილო ინსპექცია), მეორე კი — მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმას (სამხედრო საავტომობილო ინსპექცია).

ბუნებრივია, სინტაგმის განმსაზღვრელი სიტყვა აქაც ბოლოში უნდა იყოს მოქცეული. სიტყვათა სხვაგვარი თანამიმდევრობა (ინსპექცია სამხედრო საავტომობილო), შესაძლებელია, ერთგვარად დასაშვებაც კი ყოფილიყო, მაგრამ იგი სემანტიკურ გაბუნდოვანებას უწყობს ხელს და მოცემული გამოთქმის სხვაგვარად გაგების შესაძლებლობას იწვევს.


ჩვენი აზრით, ამ ბოლო მაგალითებში სირთულეს ძირითადად ის ქმნის, რომ ერთბაშად ჭირს აზრობივად დაკავშირებულა უახლოესი კომპონენტების გამოყოფა. ასე, მაგ.: გადაცემა მთავარი ორმაგი, თუ გადაცემა ორმაგი მთავარი, ბაზა ორმაგი საყრდენი, თუ ბაზა საყრდე-



ნი ორმაგი, თვალი კბილა კონუსური, თუ თვალი კონუსური კბილა, თვალი კბილა ირიბკბილა, თუ თვალი ირიბკბილა კბილა და ა. შ.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გაუფებრობა, უნდა დაიძებნოს რამდენიმე საკონტროლო თუ საორიენტაციო საშუალება. ვფიქრობთ, ა) უპირველეს ყოვლისა, ანგარიში უნდა გაეწიოს შესაბამის გამოთქმაში სიტყვათა ბუნებრივ წყობას როგორც ქართულში, ასევე რუსულში: ორმაგი მთავარი გადაცემა — двойная главная передача; ბ) გამოთქმა უნდა იქნეს დაშლილი გვარეობითი და სახეობითი ცნებების გამომხატველ ტერმინებად.

როგორც ცნობილია, ის ცნებები, რომელთა აღმნიშვნელადაც ტერმინები გვევლინება, ცნებათა მთელ სისტემაში გარკვეულ იერარქიას ქმნის. ცნებათა იერარქია გულისხმობს ცნებათა ისეთ ურთიერთობას, როდესაც ერთი ცნება დამოკიდებულია მეორეზე და მის გარკვეულ — დაბალ ან მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ასე, მაგ., რომ შევეუდართო ერთმანეთს აპარატი და საკონტროლო აპარატი-თ გამოსახული ცნებები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები, ვნახავთ, რომ ამ ორ ერთეულს შორის გარკვეული დაქვემდებარებაა. აპარატი უფრო ფართო ცნებაა, საკონტროლო აპარატი კი მისი ერთ-ერთი სახეობაა. აპარატი ზოგადია, საკონტროლო აპარატი კი — უფრო კონკრეტული. საკონტროლო აპარატი შეიძლება, თავის მხრივ, იყოს სხვადასხვა სახისა, ვიქვავთ, ელექტრული. მაშინ ამ სამსიტყვიანი გამოთქმისათვის (ელექტრული საკონტროლო აპარატი) უფრო ზოგადი ცნება საკონტროლო აპარატი იქნება, ხოლო საკონტროლო აპარატისათვის უფრო ზოგადი აპარატი იქნება. ცნებათა სწორედ ამგვარ დაქვემდებარებას, ამგვარ იერარქიას გვარეობით-სახეობითი ურთიერთობები ჰქვია. იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგომი ტერმინი გვარეობითი ცნების გამომხატველია, მასზე დამოკიდებული ტერმინი კი სახეობით ცნებას გამოხატავს. ე. ი. იერარქია ასე უნდა წარმოვიდგინოთ:



ანდა: გამოთქმაში — **კამერა სამუხრუჭო ორდიაფრაგმიანი** — გვარეობითი ცნების ამსახველი იქნება **სამუხრუჭო კამერა** (რომელიც არ უნდა გაითიშოს შებრუნებისას), ხოლო სახეობითისას დაემატება **ორდიაფრაგმიანი**, რომელიც მესამე კომპონენტად დაერთვის ინვერსიული წყობით განლაგებულ გვარეობითი ცნების გამომხატველ მსაზღვრელ-საზღვრულს.

ამგვარად, ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებული ტერმინოლოგიური გამოთქმაც — **ორმაგი მთავარი გადაცემა** — ინვერსიისას ასე უნდა იქნეს დალაგებული: **გადაცემა მთავარი ორმაგი**.

სხვათა შორის, გვარეობითი ცნების გამოსაყოფად რამდენიმე სხვადასხვა გამოთქმაში სინტაქსის განმეორებადობაც შესაძლებელია გამოვლეს საორიენტაციოდ. ასე, მაგ.: ბაზა ორმაგი საყრდენი

„ „ მიმმართველი

ანდა:

<b>გადაცემა მთავარი</b>	ორდიაფრაგმიანი
„ „	ორსაფეხურიანი
„ „	ორმაგი მიმორიგებული
„ „	ორმაგი ცენტრალური და ა. შ.

გამოთქმათა ამ წყებაში, ბუნებრივია, **მთავარი გადაცემა** გვარეობითი ცნების ამსახველია, ყველა დანარჩენი მსაზღვრელი კი მისი დამატებითი მნიშვნელობის განსაზღვრას ემსახურება (**მთავარი გადაცემა** შეიძლება იყოს **ორმაგი, ორსაფეხურიანი, მიმორიგებული, ცენტრალური** და ა. შ.).

მაშასადამე, მრავალსიტყვიან ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში ჯერ უნდა გამოიყოს გვარეობითი ცნების აღმნიშვნელი გამოთქმა, ანუ პიპერონიმი, დალაგდეს ინვერსიულად და მხოლოდ ამის შემდეგ დაერთოს მას სემანტიკურად დაკავშირებული დანარჩენი კომპონენტები.

როგორც ზემოთ მოყვანილმა მასალამ დაგვარწმუნა, სამ- და ნეტ-კომპონენტთან ტერმინირებულ შესიტყვებებში ელემენტების თავისუფლება შედარებით შეზღუდულია, ვიდრე სალიტერატურო ენაში. ამ ელემენტების თანამიმდევრობა და ადგილი საკმაოდ მყარი ჩანს, რაც მათი სემანტიკური მთლიანობით აიხსნება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარ გამოთქმებში ერთგვარი ვარიაციულობა ამ ელემენტებისა სრულიად გამორიცხული იყოს, მაგრამ იგი გარკვეულად შეზღუდულია.

მრავალკომპონენტური ტერმინოლოგიური გამოთქმების საკითხს უნდა ასპექტებიც აქვს. ისინი სხვადასხვა სტრუქტურითა და სხვადასხვა სახის სირთულით ხასიათდება. ამ საკითხების სპეციალური და უფრო გაღრმავებული შესწავლა მომავლისთვის ივარაუდება.